სასამართლო მედიაცია საქართველოში: შედარებითი ანალიზი, ინსტიტუციური გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები

სოფიო ყუბანეიშვილი
ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი; sophio.kubaneishvili@unik.edu.ge

ქეთევან კუხიანიძე
სამართლის დოქტორი, ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის პროფესორი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; Ketevan.kukhianidze@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: სასამართლო მედიაცია; ინსტიტუციური რეფორმა; ფსიქოსოციალური მომსახურება; შედარებითი ანალიზი
J.E.L. Classification: K0, K36 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2025.30.08

ციტირებისთვის: Kubaneishvili, S., Kukhianidze, K., (2025) Court Mediation in Georgia: Comparative Analysis, Institutional Challenges, and Prospects for Development (in English). Economic Profile, Vol. 20, 2(30), p. 109-116. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2025.30.08

ანოტაცია. *წინამდებარე კვლევა აანალიზებს სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაციის განხორციელების პროცესს საქართველოში, აქცენტით ინსტიტუციურ მზაობასა და საოჯახო სამართალში ფსიქოსოციალური მომსახურებების ინტეგრაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის საკანონმდებლო ჩარჩომ მედიაციისთვის სამართლებრივი საფუძველი შექმნა, მისი პრაქტიკული განხორციელება რეგიონების მიხედვით კვლავ არათანაბარია, განსაკუთრებით, რაიონულ სასამართლოებში. მედიატორთა კვალიფიკაციის საკითხები, მოსამართლეთა შეზღუდული ჩართულობა და ინტეგრირებული ფსიქოსოციალური მხარდაჭერის სისტემების არქონა, საზოგადოების დაბალი ცნობიერება მედიაციის არსისა და სარგებლის შესახებ, აგრეთვე ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების შეზღუდულობა, მოცემულ ინსტიტუტს ერთგვარ ღირებულობას უკარგავს. საქართველოს გამოცდილების შედარებითმა ანალიზმა წარმატებულ ევროკავშირის მოდელებთან (გერმანია, ნიდერლანდები, ლიეტუვა) გამოავლინა არსებითი ხარვეზები და წარმოადგინა მიზნობრივი რეფორმის რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს მედიაციის ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და ბავშვზე ორიენტირებული შედეგების გაუმჯობესებას.*